შპს ქართულ-ინგლისური
სკოლა
„ბრიტანიკა“
საქართველო, 0141 თბილისი,
ჩარგლის ქ. 65
ტელ: 2 60 69 27; 5 555 215084
ელ-ფ: Britannica.ges@gmail.com

ბრიტანიკა Britannica
ქართულ-ინგლისური სკოლა
Georgian-English School

Georgian-English School
"Britannica" Ltd
65 Chargali str Tbilisi,
Georgia
Pho: 2 60 69 27 5 55 215084
E-Mail:
Britannica.ges@gmail.com

ქ. თბილისი 30.09.2023

№ 2-05/18

ბრძანება № 18

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

საფუძველი
შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“ დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი „ბ“-ქვეპუნქტი

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა.

3.დაევალოს სკოლის ადმინისტრაციულ-საკანცელარიო საქმეთა მენეჯერს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში. (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 64)

Tamar Maisuradze 01023003009
Digitally signed by Tamar Maisuradze
Date: 2025.10.03 15:33:40

თამარ მაისურაძე
შპს ქართულ-ინგლისური სკოლა
„ბრიტანიკას“ დირექტორი

დამტკიცებულია

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ,,ბრიტანიკას“
დირექტორის მიერ
ბრძანება №18 30.09.2023

Tamar Digitally signed by Tamar Maisuradze

სკოლის დირექტორი /თამარ მაისურაძე/

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ,,ბრიტანიკა“

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა

-2023-2024-

შპს ქართულ-ინგლისურმა სკოლა „ბრიტანიკამ“ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა (Vocational Education) შეიმუშავა 2023 – 2024 სასწავლო წელს და დაიწყო მისი პრაქტიკაში განხორციელება X-XI-XII კლასებში. პროფესიული ორიენტაცია საკუთარი თავის, შრომის ბაზრისა და საგანმანათლებო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ორგანიზება და სისტემაში მოყვანაა.

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიზნები

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ძირითად მიზანს წარმოადგენს, დაეხმაროს X-XI-XII კლასების მოსწავლეებს საკუთარი მიდრეკილებების, ინტერესების, შესაძლებლობების, ღირებულებების, ბაზრის მოთხოვნებისა თუ განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით აირჩიონ პროფესია.

პროფორიენტაციის ამოცანებია:

- დაეხმაროს ადამიანს საკუთარი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების გამოვლენასა და გააზრებაში;
- გააცნოს პიროვნებას პროფესიათა სამყარო, ცალკეული პროფესიის თავისებურებები და ის მოთხოვნები, რომელსაც იგი უყენებს მომუშავეს;
- გააცნოს ადამიანს კონკრეტული პროფესიით დასაქმების შესაძლებლობა;
- დასაბუთებული რეკომენდაციის საშუალებით დაეხმაროს პიროვნებას პროფესიის სწორად არჩევაში.

სკოლა დასახული ამოცანების გადასაჭრელად უზრუნველყოფს საინტერესო და სახალისო სავარჯიშოების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ფარგლებში, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოიყენებას. მოსწავლეთა იმ უნარების, შესაძლებლობების, ძირითადი პიროვნული მახასიათებლების, პროფესიებთან შესატყვისი ფსიქოტიპების აღმოჩენას და განვითარებას, რომელიც აუცილებელია 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ახალგაზრდა თაობის აღზრდა-ჩამოყალიბებისთვის და რომელიც დაეხმარება მოზარდ თაობას გააზრებული პროფესიული გადაწყვეტილებების არჩევასა და მიღებაში.

აღნიშნული პროგრამა იყოფა სამ ნაწილად:

1. მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა და საჭიროებების განსაზღვრა (მოკლე თეორიული და პრაქტიკული კურსი ინგლისურ ენაზე)
2. სკოლისა და პროფესიული კოლეჯების თანამშრომლობის ხელშეწყობა (სტუმრად პროფესიულ კოლეჯებში -„ აირჩიე პრაქტიკული პროფესია“)
3. პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და ხელმისწავდომობა (ერთი დღე საწარმოში-„გაიცანით პროფესია“)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გასვლითი ღონისძიებები

***ვიზიტი ფარმაცევტულ საწარმო „ავერსი -რაციონალ"-ში.**
ფარმაცევტულ საწარმო „ავერსი-რაციონალი"- ახორციელებს უმაღლესი ხარისხის, უსაფრთხო და ეფექტურ, 200-ზე მეტი დასახელების პროდუქციას. საწარმოში ვიზიტის მიზანს წარმოადგენს:

- ✓ *საწარმოს დათვალიერება და მუშაობის სპეციფიკის გაცნობა.*
- ✓ *წარმოების მნიშვნელოვანი პროცესების დათვალიერება.*
- ✓ *ხარისხის კონტროლის მექანიზმების გაცნობა.*
- ✓ *GMP -ის მნიშვნელობის გაცნობა ფარმაცევტულ წარმოებაში.*
- ✓ *პროფორიენტაციული განათლების ხელშეწყობა.*

***გასვლითი გაკვეთილი თბილისის, ღრმაღელეს წყალმომარაგების სათავე -ნაგებობაზე, კომპანია: Georgian Water and Power-ჯივიპი**
საწარმოში მოსწავლეთა მიზანს წარმოადგენს:

- ✓ *საწარმოს დათვალიერება.*
- ✓ *სუფთა,უსაფრთხო და ხელმისაწვდომი სასმელი წყლის მნიშვნელობის, სათანადო სანიტარიისა და ქიმიური დამუშავების პროცესების გაცნობა;*
- ✓ *წყლის ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის გაცნობა.*
- ✓ *პროფორიენტაციის ხელშეწყობა.*

გასვლითი, არაფორმალური გაკვეთილის მიზანი: რაც შეიძლება მეტი მოსწავლე იყოს ინფორმირებული წყლის მნიშვნელობის და გაფრთხილების შესახებ.

***არაფორმალური გაკვეთილი ქალაქ თბილისში, სსიპ გრიგოლ წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტში.**
სამთო ინსტიტუტში მოსწავლეთა ვიზიტის მიზანს წარმოადგენს:

- ✓ *მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობა .*
- ✓ *პოლიმერული კომპოზიტების შესახებ ცნობიერების ამაღლება.*
- ✓ *ეკომეგობრული მასალების გაცნობა.*
- ✓ *მაღალტექნოლოგიური მასალების გაცნობა.*
- ✓ *მიწისქვეშა ექსპერიმენტული ბაზის დათვალიერება.*
- ✓ *პროფესიული განათლების ხელშეწყობა მეცნიერებათა პოპულარიზაციის მიზნით.*

***გასვლითი გაკვეთილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში.**
ვიზიტის მიზანს წარმოადგენს:

- ✓ ბიუროში დანერგილი ექსპერტიზის სახეობების და მათი წარმოების სპეციფიკის გაცნობა
- ✓ ბიუროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაცნობა

***არაფორმალური, გასვლითი გაკვეთილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის დეპარტამენტში.**
ქიმიის დეპარტამენტში ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა:

- ✓ *STEM საგნების პოპულარიზაცია.*

- ✓ *სახალისო ექსპერიმენტების განხორციელებაში მონაწილეობა.*
- ✓ *უნივერსიტეტის, ქიმიის დეპარტამენტის გაცნობა-დათვალიერება.*
- ✓ *პროფესიული განათლების ხელშეწყობა.*

ვიზიტი პროფესიულ კოლეჯში „მერმისი“

კოლეჯში ვიზიტის მიზანს წარმოადგენს:

- ✓ კოლეჯში პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა სასწავლო და პრაქტიკული კურსის გაცნობა;
- ✓ კოლეჯის ინფრასტრუქტურის დათვალიერება;
- ✓ კაბინეტ-სახელოსნოების დათვალიერება;
- ✓ კოლეჯის მასწავლებლებთან და სტუდენტებთან გაცნობითი შეხვედრა
- ✓ მოსწავლეებში პრაქტიკული საქმიანობის მიმართ ინტერესის გაღვივება.

მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობისა და საჭიროებების განსაზღვრის - “Vocational Education” პროგრამა

კურსი ტარდება ინგლისურ ენაზე

2023-2024 სასწავლო წელი

	თემა	მიზანი	გამოყენებული აქტივობები	რესურსები ლიტერატურა/ ელექტრონული მასალები	შემოქმედებითი პროდუქტი	შედეგი
1.	„რა არის პროფესიული ინტერესები“ „პროფესიული გადაწყვეტილების მიღება“.	პროფორიენტაციის მიზნების გაცნობა; მოსწავლეთა ინ ფორმირება პროფესიის არჩევის მნიშვნელობაზე;	მინი-ლექცია გონებრივი იერიში ჯგუფური მუშაობა პრეზენტაცია	ელრესურსი: www.myprofession.gov.ge პროფესიული გადაწყვეტილების მიღების კითხვარი	ესსე-ავტობიოგრაფია	
2.	ჰოლანდის ტიპოლოგია	მომავლის დაგეგმვის მნიშვნელობის გააზრება; პიროვნული თვისებებისა და გარემოს მიხედვით ადამიანთა ტიპებისა და	მინი-ლექცია ჯგუფური მუშაობა თამაში- „მაფიოზობანა“	ელრესურსი: www.myprofession.gov.ge „ჰოლანდის თვითსაკვლევი“ You-tube: Ophra Winfrey talk show: “How happy are	ესსე- “Facets of Happiness” (based on financial, social, physical, spiritual, community, career,	

		პროფესიათა ზოგადი კლასიფიკაცია		you?” https://youtu.be/sCwL0tgGBSc?si=h4gq7AAUdOeJIQzq	mind Well-Being-)	
3.	ედვარდ დე ბონო „ექვსი მოაზროვნე ქუდი“ “Six thinking hats”	გადაწყვეტილების მიღების უნარის გაუმჯობესება	მინი-ლექცია ჯგუფური მუშაობა მეთოდის განხილვა	https://youtu.be/UZ8vF8HRWE4?si=OKinsbUuUCnnprpf https://youtu.be/o3ew6h5nHcc?si=LXnpmxNJvgZFPQwU https://youtu.be/VtLsPK1D6Ac?si=dbXMgggWzkesNxH6	იმიტაციური შეხვედრა-Dilema - პრეზენტაცია	
4.	იდეალები და სტანდარტები	პროფესიის არჩევისას სწორი ღირებულებებისა და პრიორიტეტების შერჩევა	გონებრივი იერიში ჯგუფური მუშაობა	ელრესურსი: www.myprofession.gov.ge პიროვნების საკვლევი კითხვარი კარიერული კონსულტაციისთვის https://youtu.be/SCjYaatMJuY?si=OmMZ6yS0eC4ahmrn https://youtu.be/NprWF3h6YVo?si=ovYAqSQ27F1_3xbf	ესსე- „ღირებულებები“ (What are your personal values?”	
5.	XXI საუკუნის უნარ-ჩვევები	სასიცოცხლო და კარიერული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება	მინი-ლექცია ჯგუფური სამუშაო	www.icevonline.com/blog/what-are-21st-century-skills	„The Three 21st Century Skill Categories“ პრეზენტაცია	
6.	დასაქმების ბაზარი-	შრომის ბაზრის მნიშვნელობა პროფესიის	გონებრივი იერიში	სახელმძღვანელო	პრეზენტაცია-	მოსწავლეები გააცნ

	გამოწვევევ ი; Finding a job	არჩევის და კარიერის დაგეგმვის პროცესში. პროფესიათა მა ხასიათებლების ა და კონკრეტუ ლი პროფესიის წარ მომადგენელთა თვის აუცილებ ელი ცოდნისა და უნ არების გააზრებ ა.	როლური თამაშები	GOLD-pre-first p.58; You-tube- https://youtu.be/MeDowsrPx5c?si=Pa2Brtcswf0rANmG	„გაიცანით პროფესიებ ი“	ობიერებე ნ პროფეს იათა მახა სიათებლე ბისა და კ ონკრეტუ ლი პროფ ესიის წარ მომადგენ ლთათვის აუცილებ ელ ცოდნ ასა და უნ არებს.
7.	რეზუმე / CV	რეზიუმეს (CV) ძირითადი სტრუქტურა და მომზადება; წერილობითი ინფორმაციის მოძიება დასაქმების თაობაზე	მინი-ლექცია ჯგუფური მუშაობა	Formal Writing A letter Asking for information სასწავლო რესურსები: You-tube- https://youtu.be/_fP43gcBywU?si=wG_RQUI6L_ZKDI8u	My first CV; A Letter asking for information	
8.	Covering Letter	დასაქმების მიზნით წერილობითი ინფორმაციის მომზადება	წერილის ნიმუშების განხილვა	სახელმძღვანელო: GOLD pre-First Formal writing- p.66 A Letter of Application You-tube: https://youtu.be/aArb68OBFPg?si=LS_JonEIL2MMfCy1	Writing a letter of Application	

9.	ინტერვიუ-გასაუბრება (დამსაქმებელთან/გამომცდელთან)	სამუშაო/საგამოცდო სივრცეში საკუთარი თავისა წარდგენისა და უნარების წარმოჩენა;	როლური თამაშები; სიმულაციური ინტერვიუ	სახელმძღვანელო: GOLD pre-First p.13; 29; 105 you-tube: https://youtu.be/srw4r3htm4U?si=eOHXhxJ7XfRp5X2z https://youtu.be/R_dxlajqA4s?si=zRznQX7M5dWjDYTZ	Mock-interview Questions &Answers	

კარიერული გადაწყვეტილების მიღების

კითხვარი

გადაწყვეტილების მიღების კითხვარი გეხმარებათ განსაზღვროთ რამდენად დარწმუნებული ხართ საკუთარ პროფესიულ არჩევანში და რამდენად პრობლემურია თქვენთვის პროფესიული გადაწყვეტილების მიღება. კითხვარის საშუალებით გამოყოფთ პროფესიის არჩევისას მოქმედ ხელისშემშლელ ბარიერებს. კითხვარი დაგეხმარებათ პროფესიული გადაწყვეტილების მიღებაში, ვინაიდან

1. შეაფასებთ, რამდენად დარწმუნებული ხართ თქვენ მიერ შერჩეული პროფესიის სისწორეში და
2. გამოყოფთ იმ ფაქტორებს, რომლებიც პროფესიული გადაწყვეტილების მიღებაში გიშლით ხელს. რაც თავის მხრივ დაგეხმარებათ, დაძლიოთ არსებული ბარიერები და უფრო მარტივად მიიღოთ პროფესიული გადაწყვეტილება.

კითხვარში წარმოდგენილი დებულებები გამოხატავს იმ პრობლემებს, რომლებიც ახასიათებთ ადამიანებს, რომლებსაც საბოლოო პროფესიული გადაწყვეტილება არ მიუღია, ან ჯერ კიდევ ფიქრის პროცესში არიან.

ინსტრუქცია

კითხვარი შედგება ისეთი დებულებებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანების საგანმანათლებლო და პროფესიულ გეგმებთან. გთხოვთ წაიკითხოთ კითხვარში მოცემული დებულებები და შეაფასოთ რამდენად შეგესაბამებათ წარმოდგენილი აზრი თქვენ.

1.უკვე დავგეგმე კარიერა და თავს კომფორტულად ვგრძნობ. ასევე ვიცი, როგორ განვავითარო იგი.

4 - ძალიან მგავს 3 - მგავს 2 - მცირედით მგავს 1 - არ მგავს

2.მე ავირჩიე ჩემი მთავარი პროფესია და თავს კომფორტულად ვგრძნობ. ასევე ვიცი, როგორ მივაღწიო დასახულ მიზანს.

4 - ძალიან მგავს 3 - მგავს 2 - მცირედით მგავს 1 - არ მგავს

3.არ მაქვს იმ პროფესიის შესაბამისი უნარები და შესაძლებლობები, რომელსაც მსურს დავეუფლო. მიუხედავად ამისა, მე მაინც არ განმიხილავს პროფესიათა სხვა ალტერნატივები.

4 - ძალიან მგავს 3 - მგავს 2 - მცირედით მგავს 1 - არ მგავს

4. რამდენიმე პროფესია ერთნაირად შემესაბამება, რის გამოც ძალიან მიჭირს მათ შორის არჩევანის გაკეთება.

4 - ძალიან მგავს 3 - მგავს 2 - მცირედით მგავს 1 - არ მგავს

5. ვიცი, რომ მომავალში მუშაობა უნდა დავიწყო, მაგრამ ჩემთვის ცნობილი პროფესიებიდან არც ერთი არ შემესაბამება.

4 - ძალიან მგავს 3 - მგავს 2 - მცირედით მგავს 1 - არ მგავს

6. სასურველ პროფესიას რომ დავუეფლო, ეს შესაძლოა ჩემთვის მნიშვნელოვანი ადამიანის სურვილის საწინააღმდეგო აღმოჩნდეს. ამის გამო ამ ეტაპზე ჩემთვის პროფესიული არჩევანის გაკეთება რთულია. ვიმედოვნებ, ვიპოვი ისეთ გამოსავალს, რომელიც ჩემთვისაც და სხვებისთვისაც მისაღები იქნება.

4 - ძალიან მგავს 3 - მგავს 2 - მცირედით მგავს 1 - არ მგავს

7. დღემდე არ მიფიქრია კარიერის არჩევაზე. როდესაც ამ საკითხის შესახებ ვიწყებ ფიქრს, ვიბნევი, რადგან ამ ეტაპზე არ მაქვს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების გამოცდილება და საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ პროფესია ავირჩიო.

4 - ძალიან მგავს 3 - მგავს 2 - მცირედით მგავს 1 - არ მგავს

8. დაბნეული ვარ, რადგან ყველაფერი, რაც უკავშირდება კარიერის არჩევას, გაურკვევლად და ბუნდოვნად მეჩვენება. ამიტომ მირჩევნია პროფესიის არჩევა სხვა დროისათვის გადავდო.

4 - ძალიან მგავს 3 - მგავს 2 - მცირედით მგავს 1 - არ მგავს

9. ვფიქრობდი ზუსტად ვიცოდი, რა პროფესია უნდა ამერჩია, მაგრამ ახლახან მივხვდი, რომ ვერ შევძლებ მის დაუფლებას. ამიტომ ამ ეტაპზე სხვა პროფესიის ძიება მომიწევს.

4 - ძალიან მგავს 3 - მგავს 2 - მცირედით მგავს 1 - არ მგავს

10. მინდა ბოლომდე დარწმუნებული ვიყო, რომ პროფესია, რომელსაც ავირჩევ ზედგამოჭრილი იქნება ჩემთვის, თუმცა ნაცნობი პროფესიებიდან არც ერთი არ ჩანს ჩემთვის იდეალურად შესატყვისი.

4 - ძალიან მგავს 3 - მგავს 2 - მცირედით მგავს 1 - არ მგავს

11. პროფესიის არჩევაზე ფიქრით დავიღალე, მინდა რაც შეიძლება სწრაფად მივიღო გადაწყვეტილება. ვისურვებდი ისეთი ტესტის შევსებას, რომელიც მიჩვენებს, რომელი პროფესია უნდა ავირჩიო.

4 - ძალიან მგავს 3 - მგავს 2 - მცირედით მგავს 1 - არ მგავს

12. ვიცი რა უნდა ავირჩიო ძირითად პროფესიად, მაგრამ არ ვიცი მომავალში კმაყოფილი ვიქნები თუ არა ჩემი არჩევანით.

4 - ძალიან მგავს 3 - მგავს 2 - მცირედით მგავს 1 - არ მგავს

13. ამ ეტაპზე პროფესიის არჩევა არ შემიძლია, რადგან არ ვიცი რა შესაძლებლობები მაქვს.

4 - ძალიან მგავს 3 - მგავს 2 - მცირედით მგავს 1 - არ მგავს

14. საკუთარ ინტერესებში არა ვარ გარკვეული. არის რაღაც სფეროები, რომლებიც მაინტერესებს, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, როგორ დავუკავშირო ისინი ჩემს პროფესიულ შესაძლებლობებს.

4 - ძალიან მგავს 3 - მგავს 2 - მცირედით მგავს 1 - არ მგავს

15. მაქვს ინტერესების ფართო სპექტრი და შემწევს ძალა ვიყო ეფექტიანი ყველა პროფესიაში, რომელსაც კი ავირჩევ, მაგრამ ძნელია მხოლოდ იმ ერთის, ჩემთვის ყველაზე სასურველი პროფესიის არჩევა.

4 - ძალიან მგავს 3 - მგავს 2 - მცირედით მგავს 1 - არ მგავს

16. ავირჩიე პროფესია, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვახდინო ამ არჩევანის რეალიზება. მაინტერესებს, რისი გაკეთებაა საჭირო იმისათვის, რომ დავეუფლო ჩემთვის სასურველ პროფესიას.

4 - ძალიან მგავს 3 - მგავს 2 - მცირედით მგავს 1 - არ მგავს

17. იმისათვის, რომ შევძლო პროფესიის არჩევა, მჭირდება მეტი ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის შესახებ.

4 - ძალიან მგავს 3 - მგავს 2 - მცირედით მგავს 1 - არ მგავს

18. ვფქირობ ვიცი, რომელ პროფესიას ავირჩევ, მაგრამ ვგრძნობ, რომ მჭირდება დამატებითი დახმარება, რათა უკეთ გავერკვე საკუთარ არჩევანში.

4 - ძალიან მგავს 3 - მგავს 2 - მცირედით მგავს 1 - არ მგავს